



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №17

2012 წლის 23 აპრილი

ქ. ქობულეთი

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 12.08.2010 წ., №10, გვ.225) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახური;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.